საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1230

18/12/2019

ქ. თბილისი

სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას“ ბეკარის (ბიოთერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის''47-ე მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისში, სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას'' ბეკარის (ბიოთერმული) ორმოს (ნარჩენების განთავსება) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N7; 31.10.2019;
2. სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ'' უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკისა და N7; 31.10.2019; გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება 5 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი